საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თოვლიანი უფსკრული“

„თოვლიანი უფსკრული“, კარსტული უფსკრული დასავლეთ საქართველოში გუდაუთის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), ბზიფის ქედზე, უღელტეხილ ძინის მიდამოებში. შედის ილუზია-თოვლიან-მეჟენის მღვიმურ სისტემაში. სიმაღლე ზ. დ. 1960 მ. გამომუშავებულია ზედაიურული და ქვედაცარცული ასაკის სქელშრეებიან, ძლიერ დამსხვრეულ და დანაპრალებულ კირქვებში. „თ. უ." ითვლება ერთ-ერთ ღრმა კარსტულ სიღრუედ. ერთმანეთს ცვლიან ღრმა შახტები და დამრეცფსკერიანი ვიწრო დერეფნები. ერთ-ერთი შახტის სიღრმეა 160 მ. უფსკრულში თოვლი, ყინულის ნატეხები, ნაირგვარი სტალაქტიტ-სტალაგმიტები და ტრავერტინებია. ჩასასვლელიდან 350 მ სიღრმეზე ჩნდება ნაკადი, რ-ის დებიტი უფსკრულის ბოლოში 0,5 $მ^3$/წმ ხოლო ტემპ-რა 2°C აღწევს.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.